# ზოგადი მიმოხილვა

შვეიცარიამ სამხრეთ კავკასიაში თანამშრომლობა დაიწყო 1988 წელს, ჩრდილოეთ სომხეთში მომხდარი გამანადგურებელი მიწისძვრის დროს, 10 წლის შემდეგ ამ თანამშრომლობის ფარგლები გააფართოვა და რეგიონული ოფისი გახსნა თბილისში. შვეიცარია თავისი სააგენტოების - შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), ეკონომიკურ საქმეთა სახელმწიფო სამდივნო (SECO) და საგარეო საქმეთა სამინისტროს ადამიანის უსაფრთხოების განყოფილების (HSD) - მეშვეობით, მუდმივად ზრდიდა და აფართოებდა თავის პროგრამებს, მორგებულს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საჭიროებებზე.

**შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC)** არის შვეიცარიის ფედერალური საგარეო საქმეთა დეპარტამენტის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო, რომელიც პასუხს აგებს საერთაშორისო პროგრამებისა და თანამშრომლობის, ასევე შვეიცარიის კონფედერაციის ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციაზე.

**ეკონომიკურ საქმეთა სახელმწიფო სამდივნო (SECO)** არის შვეიცარიის ფედერალური ეკონომიკის, განათლებისა და კვლევის საკითხების დეპარტამენტის ნაწილი და შვეიცარიის მთავრობის ექსპერტთა ცენტრი, რომელიც მუშაობს ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად საკითხზე. SECO პასუხისმგებელია საშუალო შემოსავლის მქონე განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკურ საკითხებში თანამშრომლობისა და განვითარების პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაზე.

**საგარეო საქმეთა სამინისტროს ადამიანის უსაფრთხოების განყოფილება (HSD)** მუშაობს ადამიანის უფლების, ჰუმანიტარული პოლიტიკისა და მიგრაციის საკითხებზე. ადამიანის უსაფრთხოების კონცეფციის მთავარი თემებია თითოეული ადამიანის უსაფრთხოება და ადამიანთა დაცვა პოლიტიკური ძალადობის, ომისა და შერჩევითი ძალადობისაგან.

## 2013-2016 წწ.-ის სტრატეგიის ფარგლებში მიღწეული შედეგები

შვეიცარიის თანამშრომლობის მიმართულებები და პრიორიტეტები ოთხწლიანი სტრატეგიით განისაზღვრება. წინა სტრატეგიის ფარგლებში შვეიცარიამ წვლილი შეიტანა ეკონომიკური ჩარჩოპირობების გაუმჯობესებაში, კერძო სექტორის გაძლიერებასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდაში. განხორციელდა პროგრამები, რომლებიც მიმართული იყო რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებაზე, კერძოდ, მათი უნარების გაუმჯობესებაზე, რომ შეძლონ გაუმკლავდნენ ბუნებრივ კატასტროფებს. მნიშვნელოვანი წინსვლა შეინიშნება ადამიანის უსაფრთხოებისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებითაც.

*ცხრილი 1. 170'000 ფერმერისა და მათი ოჯახის შემოსავალი გაიზარდა და 2'000-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა სოფლის მეურნეობის სფეროში.*




## საკონტაქტო ინფორმაცია

**შვეიცარიის თანამშრომლობის რეგიონული ოფისი სამხრეთ კავკასიაში**
რადიანის ქუჩა 12, 0179 თბილისი, საქართველო
ტელ: + 995 32 225 36 82/3
+ 995 32 225 20 47
ფაქსი: + 995 32 225 36 84
ელ.ფოსტა: tbilisi@eda.admin.ch
ვებ-გვერდი: www.eda.admin.ch/georgia

**შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი ერევანში**
მელიკ-ადამიანის ქუჩა 2/1, 0010 ერევანი, სომხეთი
ტელ: +374 10 52 98 60
ფაქსი: +374 10 52 98 61
ელ.ფოსტა: yerevan@eda.admin.ch
ვებ-გვერდი: www.eda.admin.ch/armenia

**შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი ბაქოში**
ბოიუკ გალას ქუჩა 9, 1004 ბაქო, აზერბაიჯანი
ტელ: +994 12 437 38 55
ფაქსი: +994 12 437 38 56
ელ.ფოსტა: baku@eda.admin.ch
ვებ-გვერდი: www.eda.admin.ch/azerbaijan











# შვეიცარიის თანამშრომლობის 2017-2020 წლების სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra







## 2017-2020 წწ.-ის სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტები

თანამშრომლობის 2017-2020 წწ.-ის სტრატეგია მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან სფეროებს, როგორიცაა ეკონომიკა (სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით), მმართველობა და ადამიანის უსაფრთხოება, ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირება და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია. რეგიონულ დონეზე განხორციელდება ვაჭრობისა და ბუნებრივი კატასტროფის რისკის შემცირების პროექტები, რაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გამყარებას შეუწყობს ხელს.

აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში ქალებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ეკონომიკის გაძლიერებაში, იქნება ეს ფერმასა თუ სახლში გაწეული არაანაზღაურებადი შრომა. შვეიცარია განახორციელებს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებულ კონკრეტულ პროგრამებს და ამით წვლილს შეიტანს როგორც გენდერული თანასწორობის დამკვიდრებაში, ისე ინკლუზიური ეკონომიკის ზრდაში.

სტრატეგია შედგება ორი მიმართულებისაგან: 1) ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური განვითარება და 2) ეფექტური დემოკრატიული ინსტიტუტები, ადამიანის უსაფრთხოება და დაცვა. გენდერული თანასწორობა და დემოკრატიული მმართველობა ყველა პროგრამისათვის საზიარო თემებია.

ამ სტრატეგიის ფარგლებში შვეიცარია განაგრძობს სამხრეთ კავკასიაში ხელოვნებისა და კულტურის სფეროს მხარდაჭერას და ხელოვნების სფეროს ადგილობრივ წარმომადგენლებს განვითარების შესაძლებლობებს შესთავაზებს.

## ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური განვითარება

სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მოქალაქეთა ნახევარზე მეტი სოფლად ცხოვრობს და ამდენად, მათი შემოსავალი დიდწილად სოფლის მეურნეობაზეა დამოკიდებული. ამის გამო სოფლის მეურნეობა განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი სექტორია. შვეიცარია, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლის გაზრდის მიზნით, განაგრძობს სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდაჭერას.

### სასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვი

შვეიცარიის მიერ დაფინანსებული პროექტები მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის, კერძოდ, რძის, ხორცის, თაფლისა და მატყლის პროდუქტების, გაძლიერებას. პროგრამები ორიენტირებულია სოფლად მომუშავე მეწარმეებზე, მათ შორის, ქალებსა და მოწყვლად თემებზე, ასევე კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე. მოცემული სტრატეგიის ფარგლებში შვეიცარია ეცდება კიდევ უფრო გააძლიეროს კავშირები სამხრეთ კავკასიის მასშტაბით.

### რეგიონული ინიციატივები

საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი ერთმანეთის მსგავსი გამოწვევების წინაშე დგანან. ბევრი მათგანის გადაწყვეტა შესაძლებელია რეგიონულ დონეზე თანამშრომლობის გზით. შვეიცარია შეეცდება გამოავლინოს რეგიონული ინიციატივებისათვის (მაგ., ვაჭრობა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება) ხელშემწყობი ჩარჩოპირობები და შესაძლებლობები.

### ფინანსური სექტორი

შვეიცარია2001 წლიდან მოყოლებული ხელს უწყობს აზერბაიჯანში ბიზნესკლიმატის გაუმჯობესებას და ბიზნესსექტორის გაძლიერებას. SDC-სთან ერთად SECO მომავალშიც დაეხმარება ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას და მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის ფინანსების წვდომას. შვეიცარია კიდევ უფრო მეტად ჩაერთვება ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და დივერსიფიკაციაში, მხარს დაუჭერს კერძო სექტორს, რომ ეკონომიკური საქმიანობისათვის ჰქონდეს ჯანსაღი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო.

## ეფექტური დემოკრატიული ინსტიტუტები, ადამიანის უსაფრთხოება და დაცვა

უსაფრთხო გარემოსა და მყარი სახელმწიფო სტრუქტურების გარეშე შეუძლებელია მდგრადი ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების მიღწევა. შესაბამისად, ეს მიმართულება მოამზადებს მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის მყარ საფუძველს.

### საჯარო ფინანსების მართვა აზერბაიჯანში

შვეიცარია განაგრძობს ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის განვითარებას საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების გზით. აქცენტები გაკეთდება ფინანსური ბაზრის რეგულაციებსა და ზედამხედველობაზე, ასევე ვალის მართვაზე.

### დეცენტრალიზაცია

შვეიცარია კვლავაც მხარს დაუჭერს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში დაწყებულ დეცენტრალიზაციის რეფორმას. შემუშავებული პროგრამები დაეხმარება ადგილობრივ თვითმმართველობებს უკეთ წარმართონ თავიანთი მუშაობა, მაგ., შესაბამისი საჯარო მომსახურება გაუწიონ მოქალაქეებს. გაიზრდება მოქალაქეების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ მიმართულებითაც მოხდება რეგიონის მასშტაბით მოსაზღვრე ადგილობრივი თვითმმართველობების დაკავშირების გზების მოძიება.

### ბუნებრივი კატასტროფის რისკის შემცირების მართვა

ბუნებრივი კატასტროფა საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლესა და ქონებას, ანადგურებს წლების განმავლობაში ნაშრომს. შვეიცარია დაეხმარება ქვეყნებს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და ბუნებრივი კატასტროფის რისკის შემცირების მართვის საქმეში, უწინარეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობის სფეროსა და მაღალმთიან რეგიონებში.

### კონფლიქტის დარეგულირება

ადამიანთა უსაფრთხოების განყოფილების დახმარებით შვეიცარია კვლავ შეიტანს წვლილს კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და რეგიონში ნდობის გაზრდის საქმეში.